

**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ბრძანება

06. 07. 2018 წელი

118/2

----- ქ. თბილისი № -----

**2018 – 2019 სასწავლო წლის დაწყებისა და სასწავლო პროცესის
დარეგულირების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აკადემიურ საფეხურებზე სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 – 2019 სასწავლო წელს სასწავლო პროცესი წარმართოს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

1.1. 2018 – 2019 სასწავლო წელი უნივერსიტეტის ყველა აკადემიურ საფეხურზე დაიწყოს 2018 წლის 17 სექტემბერს

**ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა
შემოდგომის სემესტრი**

1.2. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია - 3-14 სექტემბერი

- 1.3. სალექციო მეცადინეობები - 17 სექტემბერი - 29 დეკემბერი
- 1.4. საშობაო არდადეგები - 31 დეკემბერი - 7 იანვარი
- 1.5. საგამოცდო სესია - 8 იანვარი - 2 თებერვალი
- 1.6. დამატებითი გამოცდები - 4-9 თებერვალი
- 1.7. არდადეგები - 11-17 თებერვალი

გაზაფხულის სემესტრი

- 1.8. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია - 1-15 თებერვალი
- 1.9. სალექციო მეცადინეობები - 18 თებერვალი - 1 ივნისი
- 1.10. საგამოცდო სესია - 3 - 29 ივნისი
- 1.11. დამატებითი გამოცდები - 1 - 6 ივლისი

2. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის გაზეთში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.

3. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., № 6.

საფუძველი: აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება

ოქმი № 9 05.07.2018 წელი

რ ე ქ ტ ო რ ი

გიორგი მარგველაშვილი